

მაია ლომია  
რუსულან გერსამია

# ეგრეთი ტექსტები

2

სიცოდური სამართლი



ესის ლომია რუსულან გერსამია



ილიას  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
გამოცემებისა

ISBN 978-9941-18-171-9



9 789941 181719 >

ნაწილი  
**PART 2**

ებია ლომია  
რუსულან გერსამია

# მეგრული ტექსტები

MEGRELIAN TEXTS

ნაცილი  
PART **2**



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი – 2012

მეგრული ტექსტები

**MEGRELIAN TEXTS**



დაიბეჭდა იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის (ცრანტი №A-43-09) ფარგლებში სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მთარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველობის, პუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

Published under the project (Grant №A-43-09) of the Ilia State University with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the author, and not represent the opinion of the Foundation itself.

© 2012, მაია ლომია, რუსულან გერსამია

სარედაქციო ჯგუფი:  
მანანა პერტენავა  
სოფია შემუგია  
ანა შანავა  
ირმა ხარამიშვილი

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა: მაკა ცომაია

ISBN 978-9941-18-105-4

ISBN 978-9941-18-171-9

UDC (უაკ)811.353.32.366

ლ-815

იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემობა  
ქაქუცა ჩილოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## ნინასიტყვაობა

ნინამდებარე კრებული შეიცავს სამეცნიელოში 2007-2011 წლებში ლინგვისტური ექსპედიციებისას მოძიებული მასალის მცირე ნაწილს. აღნიშნული ექსპედიციები განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ორი სამეცნიერო პროექტის ბაზაზე: (1) „მონოგრაფიის - მეგრულის ლინგვისტური ანალიზი – მომზადება გამოსაცემად“ (№021-08), (2) „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსი“ (№043-09).

მასალის უანრული მრავალფეროვნებისა და თანამედროვე ენობრივი ტენდენციების წარმოჩენის გამო წიგნი საინტერესოა როგორც ქართველოლოგების, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის.



# სარჩევი

შესავალი ..... 7

## აღმოსავლური არეალი

1. არავი	14/15
2. რაც გამახსენდა	32/33
3. დამწერობის წამალი	36/37
4. ჩვენი სასაცილო ამბავი	38/39
5. მდინარის, სოფლის ისტორიები	42/43
6. წმინდა გიორგის ეკლესიის ამბავი	44/45

## ცენტრალური არეალი

7. სამი ტყეული (ზღაპარი)	48/49
8. სოფელ ხიბულასა და საჯიჯაოს ისტორია	62/63
9. ძველი დროსტარება	70/71
10. დედისა და მამის [ქორწინების] ამბავი	78/79
11. ჩემი ცხოვრების ამბები	82/83

## დასავლური არეალი

12. ვეზირად დადგომის ამბავი (ზღაპარი)	92/93
13. ალექსანდრე და კიფოიას ზღაპარი	118/119
14. ხვამა	132/133
15. ლოცვის ამბავი და მაშინდელი იდეოლოგია	154/155
16. სოფლის სახელი (ჩხორია)	160/161
17. გოგოს მოტაცების ამბავი	162/163
18. მთაში ასვლის ამბავი	176/177

საკატალოგო მასალა ..... 191



## შესავალი

**I. მეგრული ტექსტების თემატური დახასიათებისათვის.** წინამდებარე კრებულში შესულია სამეგრელოს სამივე არეალის (აღმოსავლეთი, ცენტრალური, დასავლეთი) მომცველი გაბმული მეტყველების ტექსტები – ზღაპრები, ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა, სოფლის სახელდების ისტორია, ინფორმატორებს თავსგადახდენილი ან მათ მიერ მოსმენილი სხვათა სათავგადასავლო ამბავი, რაც საბოლოო ჯამში მრავალფეროვან თემატიკას ქმნის. ცნობილია, რომ თითქმის საუკუნის წინ გამოცემული მეგრული ტექსტების უმთავრესი ნაწილი ზღაპრებია, ჩვენი ხანგრძლივი ქრონომეტრაჟის მასალა კი მხოლოდ 4/5 ზღაპრითაა წარმოდგენილი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ზღაპრების მთქმელი ინფორმატორები უკვე იშვიათობაა. ზღაპრები ჩვენ მიერ სხვადასხვა არეალშია ჩაწერილი. ისინი ზოგჯერ სიუჟეტურ მსგავსებას ავლენენ ბეჭდურად გამოცემულებთან. შესაძლებელია ერთ ზღაპარში რამდენიმე ცნობილი სიუჟეტიც კი იყოს შეჯერებული (მაგალითად, ასეთია ალესანდრე დო კიჭირიაშვილი „ალექსანდრე და კიჭირიას ზღაპარი“ – დასავლური არეალი). გარდა ამისა, ხშირად ინფორმატორს აქვს თხრობის ინდივიდუალური სტილი; კერძოდ, საუბრისას შემოაქვს ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც, სავარაუდოდ, არ იცის ჩამწერმა/მსმენელმა და მთქმელი ტექსტშივე ხსნის მას, რაც თავისითავად საინტერესოა, თუმცა ზღაპრის სიუჟეტური ხაზი რომ არ დარღვეულიყო, სქოლიოში ჩავიტანეთ (იხ. ზღაპარი სუმ ტყურა „სამი ტყუილი“ – ცენტრალური არეალი). ზღაპრებში დასტურდება სიმბოლური დატვირთვის ლექსიკა, რომელთაგან ზოგიერთის ეტიმოლოგია ნათელია (მაგალითად, თარმუმულე, სიტყვასიტყვით: „მთავარი მამალი“ ანუ მამრი), ზოგიერთისა კი – არა (მაგალითად, მაშუბა/მაშუფა – ადამიანისა და დათვის შვილის სახელი).

ეთნოგრაფიული მასალაც მრავალფეროვანია. კრებულში

შესულია: ხვამაშ ამბე, რომელიც გადმოსცემს ლოცვისა და ძღვენის გაცემის რიტუალს. მასში ნათლად ჩანს თავდაპირველი წარმართული და მოგვიანო ქრისტიანული ნაკადის შერწყმა და ამ უკანასკნელის უპირატესობა. ეთნოგრაფიულ თემატიკას ამდიდრებს ძლაბიშ მოტაცებაშ ამბე „გოგოს მოტაცების ამბავი“, ასევე, ხალხური მედიცინის ამსახველი წამალუაშ ამბე „წამლობის/მკურნალობის ამბავი“ და სხვა. ამ ტიპის მასალა ასახავს სამეგრელოს მცხოვრებთა ყოფას, მისწრაფებებსა და თვისებებს, რომელიც ეთნოკურად სპეციფიკური და, ამავ-დროულად, ზოგადქართულიცაა.

**II. ტექსტის ქართული ვერსიის გადმოცემისათვის.** მეგრული ბეჭდური ტექსტების გამოცემის ისტორია XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება და დღემდე გრძელდება, მათგან ზოგიერთ კრებულში მეგრულ ტექსტებს ახლავს ქართული ვერსია; ესენია: ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. I, მეგრული პოეზია, გამომცემელი ტ. გუდავა, თბილისი, 1975; კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), თბილისი, 1971; კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბილისი, 1979; კ. სამუშია, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება: მეგრული ნიმუშები, თბილისი, 1990; ტ. გუდავასა და კ. სამუშიას მიერ შეგროვილი პოეზიის ნიმუშები პიკარედულადაა ნათარგმნი. ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრი, (ქართული თარგმანით), გამომცემლები კ. დანელია და ა. ცანავა, თბილისი, 1991; ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია, ო. მემიშიში, თბილისი, 1994; ლოლა ნანა, გამომცემლები მ. თოდუა და ლ. ბასილაია, თბილისი, 2007; მასში მოცემულია ერთი ინფორმატორის ნაამბობი სხვადასხვა თემაზე. მეგრული და ლაზური ტექსტები, გამომცემელი გ. კარტოზია, თბილისი 2008; მასში მოცემულია გამომცემლის მიერ სამეგრელოსა და ლაზეთში გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩაწერილი ტექსტები.

განსაკუთრებით რთულია მეგრული პროზაული ტექსტე-

ბისთვის ქართული ვერსიის იმგვარად მისადაგება, რომ მაქსი-მალურად წარმოჩნდეს პირველწყაროს თავისებურება. არადა, ამის მოთხოვნილება ჩნდება უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა ამ ტიპის ტექსტები სამეცნიერო მიზნით გამოიცემა. „იდეა-ლური იქნებოდა... დედანსა და თარგმანს შორის მაქსიმალური ეკვივალენტურობის მიღწევა როგორც შინაარსობლივი, ასევე გრამატიკული თვალსაზრისით, მაგრამ თარგმანში საერთოდ ძნელად შესათავსებელია (ან ზოგჯერ აშკარად შეუძლებელია) დედნისადმი სიზუსტე და თავისთავად ბუნებრიობა“ (დანელია, ტ. II, შესავალი, 1991, 6). ამგვარად გამოცემის აუცილებლობა-სა და სირთულეზე მიუთითებდა ყველა ავტორ-გამომცემელი (იხ. ზემოდასახელებულ გამოცემათა წინასიტყვაობები და შე-სავალი წერილები). ბუნებრიობის გარდა, ამ კონკრეტულ შემ-თხვევაში მეგრული ტექსტების გაგებინების საკითხიც დგას, რადგან დედნის ზუსტად გადმოცემა, ანუ სიტყვასიტყვითი თარგმანი, ზოგჯერ აბუნდოვანებს შინაარსს. ჩვენმა საგამომ-ცემლო ჯგუფმა გაითვალისწინა როგორც საკითხის სირთულე, ასევე წინამორბედთა გამოცდილება და შემოიღო პირობითი ნიშნები, რომელთა საშუალებითაც მეგრულისთვის დამახასია-თებელი ხატოვანი გამოთქმები, სინტაქსური და სტილისტური თავისებურებანი, ფონოსემანტიკური ლექსიკის მნიშვნელობა შეძლებისდაგვარად შენარჩუნებული და გადმოტანილია.

**III. ე. ნ. პირობითი ნიშნები და მათი გამოყენების პრინციპები.** ე. ნ. პირობითი ნიშნები და, შესაბამისად, ლექსიკური ჩა-ნართები ჩნდება როგორც მეგრულ, ასევე ქართულ ტექსტში, ხოლო ფონემური ჩანართი მხოლოდ მეგრულ ტექსტში. პი-რობითი ნიშანი, შეიძლება ითქვას, ცოტა გვხვდება ტექსტში – მრგვალი ფრჩხილი ტოლობით ან პლუსით და კვადრატუ-ლი ფრჩხილი, თუმცა მათი სხვადასხვა ფუნქციით გამოყენე-ბა ქმნის მეტად მრავალფეროვან სურათს. კერძოდ, მრგვალი ფრჩხილი ტოლობის ნიშნითა და სათანადო განმარტებით მეგ-რულ და ქართულ ტექსტებში ან მხოლოდ ქართულში მოცე-მულია მაშინ, როცა: (1) დაზუსტებულია ის წევრი, რომელზეც

ჩვენებითი ნაცვალსახელი მიუთითებს. მაგალითად, მიდართ თე ბოშიქ (=მოახლეებ) „წავიდა ეს ბიჭი (=მოახლე)“. (2) ხატოვანი ფრაზის შინაარსია გადმოცემული სიტყვასიტყვითი თარგმანის გვერდით: სუმ ტყურაშ ამბე რე მაფუ „სამი ტყუილის ამბავი არის მაქვს“ (=ამბავს ვყვები). მრგვალი ფრჩხილი პლუსით ქართულ თარგმანში გვხვდება მაშინ, როცა გადმოიცემა მეგრულ ტექსტში თხრობის დროს გამოყენებული: (3) ჭარბი დო „და“ კავშირი: ქიმერთუ დო უწუ დო მიდართუ დო სი რექ ჩქიმი პატონი... „მივიდა (+და), უთხრა (+და), წავიდა და შენ ხარ ჩემი ბატონი...“. (4) ჭარბი ჩვენებითი ნაცვალსახელი დეიქსაციის ფუნქციით: გეგმოკითხუ თე ამბე, მუ რე ხეშ კვათუაშ მიზეზი, თენა „გამოჰკითხა ეს ამბავი, რა არის ხელის კვეთის მიზეზი, (+ეს). (5) ვიშო/იშო „იქით“ ზმნიზედა<sup>1</sup>: ...დოღურუ ვიშო „მოკვდა (+იქით)“. (6) ე. წ. სიტყვა-ფილერები: ასე „ახლა“, იახანი „დიახ რომ“, იახადო „დიახ და“... და მისთ. ასე, ჩქინ ჭაეს გითმურს რგი წყარი „(+ახლა), ჩვენს ჭალაში გამოხდინება ცივი წყალი“. (7) ზმნას დართული დადასტურებითი ქო- ნაწილაკი: სი ქოჩქუ თე ამბე „შენ (+ქე) იცი ეს ამბავი“. ცნობილია, რომ კვადრატული ფრჩხილით საერთოდ აღდგენილი ფორმები გადმოიცემა. წინამდებარე კრებულშიც ამ ფუნქციითაა. კონკრეტულად, გამოიყენება მაშინ, როცა: (8) აღდგენილია მორფემა სახელში არაბუნებრივი ფორმის გამო, ზმნაში – არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების თავმოყრის გამო: მორლია[ქ] ქუმადირთ „გამთენის ხანია“, არ[თ] ჯა გეჩანს „ერთი ხე ხარობს“; მიკურს[გ]ნი „რომ ჩამოივლის“. (9) აღდგენილია ის ლექსიკური ერთეული, რომელსაც თხრობისას ვერ იხსენებს ინფორმატორი: კოროცხუნა თეს, მუ ჯოხო, ის [ფუტკარს] „ითვლიან ამას, რა ჰქვია, იმას [ფუტკარს]. (10) აღდგენილია სახელი ან ზმნა, რომლებიც იგულისხმება, ხოლო თხრობის დროს, როგორც წესი, გამოტოვებულია: ქიმილუ ბუყუნშა [ნიჩვი] „მიიტანა ბუყუნთან [პირი]; ნეძი, ა, კისერშა

1. ამ ტიპის კონტექსტში ზმნიზედური ერთეული ძირითადი ტექსტისგან გამოცალკევდება, რადგან მოდალური გაგება აქვს, რაც მომავალი კვლევის თემაა.

[გითოძუ] „ნიგოზი აპა, ყელამდე [ყრია]“; ქანიხუნუანს დო... დადიარუანს. არჩა, მაჟიაშა, მასმაშა, მაოთხაშან, თე ოსურსუ ვემეწონუ თექ „კალთაში ჩაისვამს და დააპურებს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მეოთხედ რომ [დააპურებს], ამ ცოლს არ მოეწონა ეს“; ა, თუნთი ღურელი<sup>1</sup> „[ნახა] აი, დათვი მკვდარი“. (11) ალდგენილია ქართულ ტექსტში -ც ნაწილაკი, რომლის გარეშე აზრი ბუნდოვანია: ამდღა რენ, ჭუმე უმოსი რენ, გელანი... „დღეს რომ არის, ხვალ უკეთესია, ზეგ[აც]...“.

ამრიგად, ჩვენი მიდგომა ემსახურება როგორც ტექსტის გაეპინებას, ასევე სამომავლოდ საკვლევი პრობლემური საკითხების წარმოჩენას.

---

1. მეგრულ ტექსტში ნახვა ზმნის ალდგენის საჭიროება არ არის, რადგან ინტონაციით აზრი გასაგებია.



აღმოსავლური არეალი

## პრიკი

ცხოვრენდუ თურმე ართ სოფელს ჩილ დო ქომონჯი. მარ-  
თალ ამბე რე, ჯვეშ მონახვამილეფი ამბე. ათეს ცუნს ართ ბო-  
ში ოდო თე ბოშიქ დიდი მონადირექ იუ დო ნადირენს თენა,  
გილურცუ დო თითქმის ნანადირევით არჩენს ოჯახის. ართი

5. მშვენიერ დღას თენა დიდ ბოშიენ თეშ, თე ოჯახის ქეშეძინ  
ძღაბიქ ოდო გვალო გეგნილას ე ბოშიქ, და პუნსია დო ოხიოლ  
თენა, ჩქიმ პატონ სი რექნ დო ქიმურსუ თე ბოშ, ქიმილანს  
ნანადირევს, დოხაშუნს დიდან, ქანიხუნუანს თე დასგ დო დაა-  
დიარუანს თეს, მუ ჭკომუნს ოჭკომალსი თეში.
10. დოლურ დიდაქ. ხოლო თაში ორთ თენა, ჩქიმ პატონ სი რექინ.  
მუკილ დროქენ, დოლურუ მუმაქ. ხოლო თაში ორთ თენა ოდო  
ესე იგი ა, შურს ეკმუჭკომუნა ართიანს. უკვე დეძღაბუ, ძღაბო  
გინირთუ, ჩქიმ პატონ სი რექინ, მარა თენა ოჭკომალს ჭკომუნ-  
სუნ, ქანიხუნუანს კინ დო ათაშ ულუანს თე დას დო და დო ჯიმას
15. ართიანიშ ოსხუნურ ვალუნა მუთუნი. არ[თ] მშვენიერ დღას აუჩემ  
თე ძღაბიქ, ქიმიცონია ოსურ. ვარია, ოსურია ოჯახის აკომრითი-  
ნუანანია ჩქია, უწუ, სი გეთხუაფუქიე, უკულ ქიმიპონანქია. ვა-  
რია, იშეიშენ ქიმიცონ-ქიმიცონია დო ქიმიცონ თექ ოსური.

ათე ოსური მიცონუნ, კინ თაშ გაგრძელუ. ქანიხუნუანს თე

20. დას თენა დო დადიარუანს. არჩა, მაჟიაშა, მასმაშა, მაოთხა-  
შან, თე ოსურსუ ვამეწონ თექ. ვამეწონ თექ დო გორჩქინდ  
დავაქ ჩილ დო ქომონჯ შორის. სია მა ვაიცორქია-და მუშა  
მომიცონია. თე დას გინმადგნექია დო დას ინანქიე [მუკმულუან-  
ქიე], მა ოსური ვაორექიაო დო და დათ დეკინია დო ოსური  
ოსუროვა დო თაშია, მარა ჯიმაქ უწუ, თენა რენია ჩქიმ ნარდი,  
ოდო ვაგეთხუაფუნია, ათაშ ინანქია [მუკმულუანქია] მა თესია-  
ვა, უწუ.
25. არ[თ] მშვენიერ დღას ქეშეძინეს თენემს ბოშიქ, ანგილო-  
ზიჯგუა ბალანაქ, თე ჩილ დო ქომონს. თე ბალანას, თე ჯი-

## პრაკტიკული სამუშაო

ცხოვრობდა თურმე ერთ სოფელში ცოლი და ქმარი. მართალი ამბავია, ძველად მოხდარი ამბავი. ამას ჰყავს ერთი ბიჭი და ეს ბიჭი დიდი მონადირე შეიქმნა და ნადირობს ეს, დადის და თითქმის ნანადირევით არჩენს ოჯახს. ერთ მშვენიერ დღეს, ეს დიდი ბიჭი რომ არის ისე, ამ ოჯახს შეეძინა გოგო და მთლად გადაირია ეს ბიჭი, და მყავსო და უხარია ეს-ის. მოვა ეს ბიჭი, მოიტანს ნანადირევს, რომ მოხარშავს დედა, ჩაისვამს ამ დას [კალთაში] და დააპურებს თვითონ რომ ჭამს ისე.

მოკვდა დედა. ისევ ასე აკეთებს, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი. რომ გავიდა დრო, მოკვდა მამა. ისევ ასე აკეთებს ეს, ჰოდა, ესე იგი, სულში უძვრებიან ერთმანეთს [სიყვარულით]. უკვე დაქალდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ, ეს რომ საჭმელს ჭამს, ისევ ჩაისვამს და ასე უვლის ამ დას და და და ძმას ერთმანეთზე უმჯობესი არ ჰყავთ არაფერი (=არავინ). ერთ მშვენიერ დღეს დაუჩემა ამ გოგომ, მოიყვანეო ცოლი. არაო, ცოლი ოჯახს დაგვინგრევსო ჩვენო უთხრა, შენ რომ გათხოვ-დებიო, მერე მოვიყვანო. არაო, მაინცდამაინც მოიყვანეო და მოიყვანა ამან ცოლი.

ეს ცოლი რომ მოიყვანა, ისევ ასე გააგრძელა. ჩაისვამს ამ დას და დააპურებს. ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ, მეოთხე-ჯერ რომ [დააპურებს], ამ ქალს (=ცოლს) არ მოეწონა ეს. არ მოეწონა ეს და ნარმოიქმნა დავა ცოლსა და ქმარს შორის. შენ მე თუ არ გიყვარვარო, რატომ მომიყვანეო. ამ დას ზედ ჰყვებიო და დას უვლიო, მე ცოლი არა ვარო? და დად გყავდესო და ცოლი ცოლადო და ასეო. მაგრამ ძმამ უთხრა, ეს არისო ჩემი გაზრდილი და სანამ არ გათხოვდებაო, ასე მოვუვლიო მე ამასო, უთხრა.

ერთ მშვენიერ დღეს ეყოლათ ამათ ბიჭი, ანგელოზივით ბავშვი, ამ ცოლს და ქმარს. ამ ბავშვს, ეს ძმა რომ ექცევა

5.

10.

15.

20.

25.

- მა ოქციუ დასენ, თეშ ოქციუ თე მამიდა თე ბალანას. შურშა ქუსხუნ თე ბალანა, ჯიმასკუა, ჩქიმ პატონ სი რექტი, თენა ქი-მერთ თე ოსურქუ დო მარანი დოჭუ, მარანი, ქუმუნტუ მარანს დო ქიგიოჭუ. ქუმორთ ჯიმაქ ონადირუშე დო ხორც დოხაშ ე ოსურქ, ქანიხუნუ თე და დო ოდიარუანს. ოვა, ოვა, ათაშ გა-  
5. თამამია სი სკანი დავა დო გოლა მარანი დოიჭუა დო ჭუმე მა-  
ლაზას ქიგეაჭუანცია, უნუ. ეწყინუ, მარა მუ ქიმინას, გაჩერდგ  
ასე. ქიმერთუ დო მაჟია მარას მიდართ თექნი, მალაზა ქი-  
გიოჭუ. ხოლო თაშ ქუნუ თე ბოშის, ქუმორთგნ, ო, თაშ გათა-  
10. მამია დო ე მუ ქიმინუე, მალაზა დოჭუა, და მუს ჭკომუნქია. სიმინდამო, ირფელამო დიჭუა, მუთუნქ ვამმახვარნესიე თეშ.  
ვარა მუშე ორთგქ, ვარა მუშე ღოლ, ართ ნინა ვაურაგადუ თე  
ბოშის, ქანიხუნუ დო დადიარუ კინ. ვართ თე და ურაგადუ  
მუთუნს, ნამდა მა ვამლოლამუ დო თენა-თინავე. ქიმერთგ დო  
15. ქუხნა დოჭუ, თე ბოშიქ მიდართგ. ქუხნას ქუმუნტუ დო დოჭუ. ქუმორთგნ, ქუხნა ვარე. ქიმიხვარუ მეზობლები დო ქიგიაკეთ  
მუდგარენი. აკარძეს თაქ დაჩხირი, დოხაშეს თაქ ხორცი, ჩქიმ  
პატონ სი რექინ, დო ქინიხუნუ თე და დო დადიარუ.

ჭუმევა ოდა ვეგეიჭუა-და, თის ქოძირუნქია, უნუ [ოსურქ].

20. გაჩერდ ე კოჩიქ, მუ ქიმინას დო ირ მარას გილურსუ, ჟირ მა-  
რას ვედ ასე, მარა თე ბალანა დო მამიდაში ქცევა ვარაგადა-  
ფუას თეს, მუშე ქიმინიე, მუშენდა დარწმუნებულიე თვითონ,  
ნამდა თე ოსური, თე და, თეს ვექენსენ თენა. ათეზმა ცოროფა  
უღუ ბალანაშინ, თენა თეს ვაგაკეთენსია, ფიქრენს თე ბოში  
25. გურსუ.

- ქიმერთ ართ მშვენიერ დლას, მიდართ თე ქომონჯქენ დო  
თე ოსურქ ქიმერთუ დო დიდი დაჩხირი აკაარზუ დო ნორ-  
ცხვაქ ქიგეციუ თაქ დო გუთუკუნუ თე ნორცხვას დო ჟირ-  
ხოლო ხე ქიგუდუ ბალანას დო ათეშ გიმე დოდგვარდგვალუ  
30. იშო ხე. გეგნილას ე მამიდაქ, ჩქიმ პატონ სი რექინ, რკიაფ  
ქიგიაშკუ, ქუდოციუ მეზობელემქ, ინა, მარა მუ გოკო, ა, მუ  
ღოლუა დო თეს ქიგნაბრალ აშო. მუ მიღოლუა ბალანაშა დო

დას, ისე ექცევა ეს მამიდა ამ ბავშვს. სულს ურჩევნია ეს ბავშვი, ძმისშვილი, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი. მივიდა ეს ქალი (=ცოლი) და მარანი დაწვა, მარანი. წაუკიდა მარანს და დაწვა. მოვიდა ძმა ნადირობიდან და ხორცი მოხარშა ამ ქალმა, ძმამ ჩაისვა ეს და და აპურებს. ჰო, ჰო, ასე გაათამამე შენ შენი დაო და გუშინ მარანი დაგიწვაო და ხვალ ბეღელს დაგიწვავ-  
სო, უთხრა. ეწყინა, მაგრამ რა ქნას, გაჩერდა ახლა. მივიდა და  
მეორე კვირას რომ წავიდა ეს (=ბიჭი), ბეღელი დაწვა. ისევ ასე  
უთხრა ამ ბიჭს, რომ მოვიდა, ჰო, ასე გაათამამეო და აი, რა  
ქნაო, ბეღელი დაწვაო, აბა, რას შეჭამთო! სიმინდიანად, ყვე-  
ლაფრიანად დაიწვაო, ვერაფერი რომ ვერ ვუშველეთო ისე. ან  
რატომ აკეთებ, ან რატომ ქენი, ერთი სიტყვა არ უთქვამს ამ  
ბიჭს, ჩაისვა და ისევ დააპურა. არც ეს და ეუბნება არაფერს,  
რომ მე არ გამიკეთებია და ეს-ისო. მივიდა და სამზადი სახლი  
დაწვა, ეს ბიჭი რომ წავიდა. სამზარეულო სახლს წაუკიდა და  
დაწვა. რომ მოვიდა, სამზადი სახლი არაა. დაიხმარა მეზობ-  
ლები და გააკეთა რაღაცა. დაანთეს აქ ცეცხლი, მოხარშეს აქ  
ხორცი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ჩაისვა ეს და დააპურა.

ხვალ სახლი თუ არ დაგიწვა, იმასაც წახავო, უთხრა [ცოლ-  
მა]. გაჩერდა ეს კაცი, რა ქნას, ყოველ კვირას დადის, ორი  
კვირა არ წავიდა ახლა, მაგრამ ამ ბავშვისა და ამ მამიდის  
ქცევა ვერ ათქმევინებს ამას, რატომ გააკეთეო. რატომ-და,  
დარწმუნებულია თვითონ, რომ ეს ქალი, ეს და, ამას არ გაა-  
კეთებს. ამხელა სიყვარული რომ აქვს ბავშვისადმი, ეს ამას არ  
გააკეთებსო, ფიქრობს ეს ბიჭი გულში.

მივიდა ერთ მშვენიერ დღეს, ეს ქმარი რომ წავიდა, ეს ცო-  
ლი მივიდა და დიდი ცეცხლი დაანთო და წაკვერჩხალი ბლო-  
მად დარჩა აქ და გამოჩერიკა ეს წაკვერჩხალი და ორივე ხელი  
დაადებინა ბავშვს და ამის ქვევით (=ინფორმატორი უესტით  
აზუსტებს ხელის მონაკვეთს) და ძლიერ დაუწვა ხელი. გაგიუდა  
ეს მამიდა, ჩემი ბატონი შენ ხარ, კივილი დაიწყო, მოცვივდნენ  
მეზობლები (+ის), მაგრამ რა გინდა, აი, რა გაუკეთაო და ამას

5.

10.

15.

20.

25.

30.

- ა, პილგნქია დო, ინა დო ქუმორთ ჯიმაქ. ქოძირ თენა დო მუჭომ მდგომარეობა რე ასე, ანგილოზიჯგუა ბალანას მუ-  
მაქ მიოჯინგ, ტარიელჯგუა დიტუ დო ბალანას უირხოლო ხე  
ჭვილი აფუნ დო. დოხაშ ხორცი დო ქაწიხუნუ თე ბალანა, კინ  
 5. თე და, დადიარუ თენა. გედირთგ დო ხოჯ დო ურემ ცუნსუ  
ოდო ათე ხოჯ დო ურემ... ქუსქუ ხოჯეფი დო მიდართგ, მა-  
რა სო მეურსუნ მის გიჩქ, ე, მიდართ ე კოჩქ დო თე ურემი  
ეუშაფ ქობალით, ქუციდირ ქობალი, ეუშაფ თენა, ჩქიმ პატონ  
 10. სი რექინ, დო ქომორთ ცუჩა, ქიგიოხუნუ თე და დო მიდეცონ  
ტყაშა. მიდართეს ტყაშა, ჩქიმ პატონ სი რექინ, დო ათაქ გაგ-  
თუუნწყუ ხოჯეფი თე ურემცე თე ურემიშ გაშა ქიგუდუ ხე თე  
დასგ დო სიდე სქუას აფუდუ ჭვილ ხელეფი, თექ მეკვათ იშო  
ჟირხოლო. ასე ქაკო დაქ ქოთქუას თენა. [თე ბოში] მეურს  
 15. იშონი, [დას ოკო] ქუჩქუდას [ჯიმას], მუი რენ, მარა ვარაგა-  
დაფუ მუდგაქირენ დო ვათქუ თენა მა ვამგქიმინ, სკან ოსურ  
ორთუნია თენა. თე ჯიმას ჩილამურ გელუციუ. ნაწილობრივ  
დარწმუნებულიე, მუჭო თაქ ვარე [დამნაშვე] დან, მარა ათაქ  
ვამათმინინ ასე, თე ბალანაშ ხეშ ჭუალაქ დო აქ ქიმიარდ თე  
ხექ ჭიჭე დო ზისხირქ ულა მიოტუ, თენა-ინა. [თე ძლაბის]  
 20. ქიმაშკირენ, მუდა დღა რე ოჭკომალ ვაუჭკუმუნ. ათაქ ქო-  
ბალს გეჭოფუნს, ჩქიმ პატონ სი რექინ, დო ჭკომუნს თეს დო  
ამუდღა, ჭუმე, გეღან, თუთა, ჟირ თუთა დო გეთუ ე ქობალქ  
იშო. გეთუ ქობალ[ქ] დო ქომაშკირენ. ქომაშკირენ, მარა თიშ  
მანწარათ ქომაშკირენ, ა, ულა ხოლო ოზარ. მეურსუ, მეურ-  
 25. სუ, მეურსუ დო ვაძირ მუთუნინ, მინ პანტე უშკური მიკო-  
ჩანს, მინ პანტე სხელი, მარა მუ ინუას [ქიმინას] ენა, მუთუნ  
ვაქიმინე, ხე ვაუღუ დო.

- თექ მიოჯინუო, არდიხას ქოძირგ უშკურეფ ქინოჩანსგ, სა-  
ხეს გოძირანსენ ფერ, ცურძენ გოჩანს, ესე იგი ზღაპრულ ბა-  
 30. ლი ქორე, მარა ჩიტის ვემნაფურნენ თიჯგურა მასარეფით რე  
შემოლობილ თენა დო გილართ თექ მუკე-მუკე დო გილართ  
აურე-ეურე დო სოდგარე ქოძირ დუდიშ მითაღალარჯგუა. დო

(=ამ გოგოს) გადააბრალა ყველაფერი. რა გამიკეთაო ბავშვის-  
თვის და აი, მოვკლავო (+ის) და აი მოვიდა ძმა. ნახა ეს და  
როგორი მდგომარეობა არის ახლა. ანგელოზივით ბავშვს მამამ  
შეხედა, ტარიელივით დატოვა და ბავშვს ორივე ხელი დამწვა-  
რი აქვს და... მოხარშა ხორცი და ჩაისვა ეს ბავშვი, ისევ ეს და,  
დაპურა (+ეს). ადგა და ხარი და ურემი ჰყავდა და ეს ხარი და  
ურემი... შეაბა ხარები და წავიდა, მაგრამ, თუ სად მიდის, ვინ  
იცი[ს], ეგერ წავიდა ეს კაცი და ეს ურემი აუვსია პურით, უყი-  
დია პური, აუვსია ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მოვიდა სახლში,  
დასვა ეს და და წაიყვანა ტყეში. წავიდნენ ტყეში, ჩემი ბატონი  
შენ რომ ხარ, და აქ გამოხსნა ხარები ამ ურმიდან და ამ ურმის  
ზესადგარზე დაადებინა ხელებში ამ დას და სადაც დამწვარი  
ჰქონდა ხელები შვილს, იქ მოაჭრა (+იქეთ) ორივე. ახლა კი უნ-  
და დას თქვას ეს [სიმართლე]; [ეს ბიჭი] რომ მიდის იქით, [დას  
უნდა] იცოდეს [ძმამ] რა არის [სიმართლე], მაგრამ არ ათქმევინა  
რაღაცამ და არ თქვა, რომ ეს მე არ გამიკეთებია, შენი ცოლი  
აკეთებსო (+ეს). ამ ძმას ცრემლები ჩამოსცვივდა. ნაწილობრივ  
დარწმუნებულია, რომ აქ არაა [დამნაშავე] და, მაგრამ (+აქ) ვერ  
მოითმინა (+ახლა), ამ ბავშვის ხელის დაწვა. (+აქ) შეუხორცდა  
ეს ხელი [დას] ცოტა და სისხლდენამ იკლო. [ამ გოგოს] მოშივ-  
და, რამდენი დღეა საჭმელი არ უჭამია. (+აქ) პურს აიღებს, შენ  
რომ ხარ ჩემი ბატონი, და ჭამს ამას და დღეს, ხვალ, ზეგ, ერთი  
თვე, ორი თვე და დამთავრდა ეს პური. დამთავრდა პური და  
მოშივდა. მოშივდა, მაგრამ ისე მწარედ მოშივდა, აი, წასვლაც  
ეზარება. მიდის, მიდის, მიდის და ვერ ნახა ვერაფერი. ხან პან-  
ტა ვაშლი ასხია, ხან პანტა მსხალი, მაგრამ რას გააკეთებს ეს,  
ვერაფერს აკეთებს ხელი არა აქვს და.

ამან რომ შეხედა, ნახა ერთ ადგილს ვაშლები ასხია, სახეს  
რომ გაჩვენებს ისეთი (=სარკესავით), ყურძენი ასხია, ესე იგი  
ზლაპრული ბალია, მაგრამ ჩიტი რომ ვერ შეფრინდება ისეთი მეს-  
რებით არის შემოლობილი (+ეს) და იარა ამან გარშემო და იარა  
აქეთ-იქეთ და სადლაც ნახა თავის შესაყიფუ ადგილი. შეყო აქ

5.

10.

15.

20.

25.

30.

- გემთიღ თაქ დუდი დო ცურძენქ ვამკანილ დო თე ით [პიჯით] ჭკომუნს, მიკოჩანცენ თეში თეს. გინილენს დო მოლურს აშო დო თე ის ვამაგუ ანწი, ეს სვდე რდგნი ექ დო თექ ჯაი ჯინს ქიქთინჯირუ იშო. კინ ქამაშკირენუ, კინ მინილენს. თენა ცოფე თავადიში ბალი, თენა შემოლობილ ცოფ თე თავადის დო მცვე-ლეფი გეცოფ ხოლო, ყარულეფი. თენეფი მარაშე არჩა ქუმულა დო გილენა თეს. ქოძირეს ათაქ თე ცურძენ ჭკომილიენ თენა. ქუდუყარულეს თეს. ჟირიე თენეფი დო ქუდუყარულეს. ართ ყარაულენს, მაჟია ყარაულენს, ყარაულენა, მარა ვეჭოფ თაქ, მუთუნ ვაძირეს, მუთუნ ინა [საეჭვო] თაქ. კინი ვითოხუთიქ მუკილ დო ქოძორთესინ, კინ ჭკომილ ქოძირეს თენა. ხოლო ყარულენა ინა, მარა ვეძირ მუთუნქ. ენა ორწყე, ღორონდგიე, ყარაულენანი დო იწკემა ვამურს ენა. მიდულან თინკუგმა რე ინან [მურსუ] დო ანწი იძულებულიენა, [ქუნუანი], თენა თე თავადიქ ქიგეგასგ დო ჩქი გეგმორლვან იშონ, [ფიქრენა], დო მეუდინგნა [თინეფს] უკულ სამუშა დო ქუნუათი უჯაგუშიენია დო გინოჭყვიდეს ქუნუანი დო ქემორთეს დო ქუნის. ათაშიე-ნია საქმე, ათაშია დო მიდგარე გერჩქვანილიენია სქან ის [ბა-ლის], მგნალექ ხოლო ვამაგორესია, თაქ მუ გილურსუ დო მუ ვარიან, თექ.

გაძლიერ თავადიქ ყარული, მარა ართგანი ე ის ვეგიორინუ – შელობილიშ ტერიტორიასგნ, ჭე იქილე ქიგიორინუ ოდო თე იქილე გერენ თინემქ დოლანტეს ადამიანიჯგუა მუდგარენ; ქუჯინეს თეს, ქუჯინეს დო მოლართ თექ, მოლართ, ჩქიმ პა-ტონ სი რექენ, დო ეთეურე სოდგარენ მითილ ექ, ბირგულ ქუდაშკუ. ე[ნა] მუ უჩქ ენემს, ეს ხე ვაულუნი, ენეფ შორს რენა დო. ბირგულ ქუდაშკუ დო ქოჭკომუნსუ დო ქუმორ-თეს ხოლოშა, ქუმორთეს დო ქოძირესგ, ხე ვაულუნ თენა დო ეცოდეს, მარა მუ ღოლან?! ანგილოზიჯგუა ძლაბი, არაჩვეუ-ლებრივ მეჯინელიე ხოლო. ოჭოფეს დო ქუმუცონეს თავადის თენა. თავადი რე ასე თენანი იშენი, ჩილამურქ გელუციუ, თეჯგუა ძლაბი [ქოძირუ] დო ქოკითხ თეს, მუი რე ტყას ცხოვ-

თავი, ყურძენი ვერ მოწყვიტა და ამ იმით [პირით] ჭამს, რომ  
ასხია ისე (=მსხმოიარეს), ამას (=ყურძენს). გამოვა და წამოვა  
აქეთ, გამოვა და წამოვა აქეთ და ამ იმას (=სამყოფელს) ვერ  
მოაგნებს (+ახლა), სადაც იყო იმ ადგილს და ხის ძირში დაწვება  
(+იქით). ისევ მოშივდა, ისევ შევა. ეს ყოფილა თავადის ბალი, ეს  
შემოლობილი ჰქონია ამ თავადს და მცველებიც ეყენა, ყარაულე-  
ბი. ესენი კვირაში ერთხელ მოდიან და დაივლიან ამას (=ბალს).  
ნახეს აქ რომ ეს ყურძენი შექმულია (+ეს). დაუდარაჯდნენ ამას.  
ორნი არიან ესენი და დაუდარაჯდნენ. ერთი დარაჯობს, მეორეც  
დარაჯობს, დარაჯობენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს (+აქ), ვერაფერი  
ნახეს, ვერაფერი ის [საეჭვო]. ისევ თხუთმეტი დღე გავიდა და  
რომ მოვიდნენ, ისევ შექმული ნახეს ეს. ისევ დარაჯობენ, მაგრამ  
ვერ ნახეს ვერაფერი. ეს [გოგო] ხედავს, ღმერთმანი, რომ ყარაუ-  
ლობენ და მაშინ არ მოდის (+ეს). რომ წავლენ, მაშინაა რომ ის  
[მოდის], და უკვე იძულებული არიან [მცველები, რომ უთხრან];  
ეს ამ თავადმა რომ გაიგოს და ჩვენ რომ გაგვყაროს (+იქეთ),  
[ფიქრობენ] და სამუშაო დაეკარგებათ [იმათ] მერე. უკეთესია,  
რომ ვუთხრათ და გადაწყვიტეს, რომ უთხრან და მივიდნენ და  
უთხრეს. ასეაო საქმე, ასეო და ვიღაცა შემოეჩვიაო [შენ ბალს],  
შესვლის ადგილს ვერ მივაგენითო, აქ რა დადისო და რა არაო,  
ამას.

გააძლიერა თავადმა დარაჯი, მაგრამ ერთი ნაწილი აი, იმაზე  
რომ არ (=კი არ) დააყენა – შემოლობილ ტერიტორიაზე, ცოტა  
იქით დააყენა, ჰოდა, (+ეს) იქით რომ დგანან იმათ დალანდეს  
ადამიანისმაგვარი რაღაცა. უყურეს ამას, უყურეს და წამოვიდა  
ეს, წამოვიდა, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი, და იქით სადღაციდან  
შევიდა ეს, მუხლზე დაიჩოქა. ეს რა იციან ამათ, ამას ხელი რომ  
არ აქვს, ესენი შორს არიან და. მუხლზე დაიჩოქა და ჭამს და  
მივიდნენ ახლოს, მოვიდნენ და ნახეს, ხელი რომ არ აქვს და  
შეეცოდათ, მაგრამ რა ქნან?! ანგელოზივით გოგო, არაჩვეუ-  
ლებრივი შესახედაობისაც. დაიჭირეს და მოუყვანეს თავადს ეს.  
თავადი რომ არის ახლა ეს (=თავადი კი არის ეს, მაგრამ), მაინც

5.

10.

15.

20.

25.

30.

- რებაში მიზეზი დო მუი რე ხეშ კვათუაშ მიზეზი, მუქ მოხვადუ, მუქ იცუ, მუ რენ თენა დო ვათქუ თექ, დაბადებულო მა ფშენ თაშ ვორექია დო მუთუნ ვამჩქნია, უწუ. თენა მუჭო მალოლ, მუი რენ, მუთუნ ვამჩქნია თექ. ათე თავადის ართ 5. ბოში ცუნცუ. თენა გურაფულენს რუსეთის, თე ბოში. ათე ბოშიქ ქიდელას, ოდო დელოგინ იშო დო ლოგინს ჯან თენა, ათენა [თე ძღაბი] ხე კვათილი, ენა [ე ბოში] ლოგინს ეთმე- 10. დირთ ვითოხუთშე არჩა, გედირთგდა თენა [რე], ვარდა ნინას ვეჩიებუ, ლოგინს ვედირთგ დო ჯან მიკორთელო კუდაშე დო ათეს ქემუცონანქია თეს ოსურო. რახან განგებაქ თაშ ისრუ- ლუა, ათექ ჩქიმ ცუჩა ქიმიუნეუა თენა თაქია დო ქუმუცონეს თე ბოშის ოსურო თენა.

- ამსერ ქიდიჯირეს თენემქ, ჭუმსერი, ართ მარაქ მუკილ დო გედირთ ე ბოშიქ, ჩიება ქედიიჭყუ, ქიგლუურსუ ინა დო წარ- 15. მონანაქ მუკილ დო თე ბოშიქ მიდართუ დო გაგრძელ გურაფა დო გურაფულენს თე ბოშ. დროქ ქუმორთ, მუა დროქ დო ქი- დებად ანგილოზი ბალანაქ, უნახავი, ვარა მუთუნ ინავო. გვერ- დი ოქრო დო გვერდი ვარჩხილიენიე – იჩიებუ ბაბუ. ათეჯგუა 20. ბალანაქ ქიდებადგ თაქ. გეჭოფ თე მოახლე ცუნსუნი თენა დო დოჭარ წერილ: „მართალიენია, სკან ოსურს ხელეფ ვაულუნია, მარა ბალანაქ ქიდებადუა გვერდი ოქრო დო გვერდ ვარჩხილქ იდო ქემორთ დო ქოძირია სკანი ბალანავა“.

- მიდართ თე ბოშიქ (=მოახლექ), ქიდეკინ წერილი, გედო- ხოდ ცხენს დო მეურცუ დო სოფელი გიშალ აფ ასე, სოდ- 25. გარენ სოფელ ადგილი დო ათე სოფელიშ ბოლო ოჯახიშა ქიმერთგ დო ისერუ. სო იდას ასე, იშო ტყაჯგუა ირწყებე დო მინიბლენქია დო ქედიძახ: ეი მენძელ, ეი მენძელ! გინარჩქილ ოსურქ. ამსერია ქიგმოსერაფეთია, უწუ [თიქ] ოდო მოზოჯია პატონია, უწუ ე ოსურქუ. ქომონჯ ვარენია ჩქიმ, მარა... ენა 30. ონადირუშა გილურს. ვემუტებ ე კოს ნადირება. ენა ცოფე თურმე ათე ოჯახ, თე ძღაბი[ს] ხე კვათგნ თი ოჯახი ცოფე თენა. ქედოდოხოდეს ასე. ოსერშე გამკულ, ჩქიმ პატონ სი რე-

ცრემლი გადმოსცვივდა, ასეთი გოგო [ნახა] და ჰკითხა ამას, რა არის ტყეში ცხოვრების მიზეზი და რა არის ხელის მოქრის მიზეზი, რა მოხდა, რა იქნა, რა არის (+ეს) და არ თქვა ამან. და-ბადებული, მე რომ მახსოვს, ასე ვარო და არაფერი არ ვიციო, უთხრა; ეს როგორ დამემართა, რა არის, არაფერი არ ვიციო, ამან. ამ თავადს ერთი ბიჭი ჰყავს. ეს სწავლობს რუსეთში, ეს ბიჭი. ეს ბიჭი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა (+იქეთ) და ლოგინში წევს (+ეს), ეს [გოგო] ხელმოჭრილი, ეს [ბიჭი] დგება თხუთმეტ დღეში ერთხელ, საერთოდ თუ ადგა; თუ არადა, არ ლაპარაკობს, ლოგინიდან არა დგება და წევს კედლისკენ მიბ-რუნებული და ამას მოვუყვანო [მამამ] ამას (=გოგოს) ცოლად. რადგან განგებამ ასე ისურვაო, ამან (=განგებამ) ჩემს სახლში მოიყვანა ეს (+აქო) და მოუყვანეს ამ ბიჭს ცოლად ეს.

ამაღამ დაწვენენ ესენი, ხვალ საღამოსაც. ერთი კვირა გა-ვიდა და ადგა ეს ბიჭი, ლაპარაკი დაიწყო, დადის ეს და წელი-წადი გავიდა, (+და ეს) ბიჭი წავიდა (+და), გააგრძელა საწავლა (+და სწავლობს ეს ბიჭი). დრო მოვიდა, თავისი დრო და დაი-ბადა ანგელოზი ბავშვი, [თვალით] უნახავი, თორემ რამე ისა [უბრალო]. ნახევარი ოქრო და ნახევარი ვერცხლიაო, ამობს ბაბუა. ამგვარი ბავშვი დაიბადა აქ. აიყვანა (=მოიხმო) მოახლე რომ ჰყავს ეს და დაწერა წერილი: „მართალიაო, შენს ცოლს ხელები არ აქვსო, მაგრამ ბავშვი დაიბადაო, ნახევარი ოქრო და ნახევარი ვერცხლი, ჰოდა, მოდი და ნახეო შენი შვილიო.“

ნავიდა ეს ბიჭი (=მოახლე), დაიჭირა [ხელში] წერილი, დაჯ-და ცხენზე და მიდის და სოფელი გასავლელი აქვს ახლა, სად-ლაც სოფელი ადგილი და ამ სოფლის ბოლო ოჯახში მივიდა და ღამდება. სად წავიდეს ახლა, იქით ტყე მოჩანს და შევალო და დაიძახა: ჰეი, მასპინძელო, ჰეი, მასპინძელო. გამოხედა ქალმა. ეს საღამო გამათენებინეთო, უთხრა იმას. ჰოდა, მობრძანდიო ბა-ტონოო, უთხრა ამ ქალმა. ქმარი არ არისო ჩემი, მაგრამ... ეს სა-ნადიროდ დადის. არ მიუტოვებია ამ კაცს ნადირობა. ეს ყოფილა თურმე ის ოჯახი, ამ გოგოს რომ ხელი მოჰკვეთა, ის ოჯახი ყო-

5.

10.

15.

20.

25.

30.

- ქინ, ენა, ინა დო ქომაცუნეს ჩიებას, სოშა მეურქ, სონი ექ, მინ  
რექ, მუი რექნ, ქუნუ თექ ათაშ, ათაშ, ათაშ მოხვადუა დო  
თენა ირფელ ქერიუ თექ, თენა დო თე ბოშ გურაფულენდგ,  
დეინვალიდგ, ლოგინს ჯანგდგ, ხეკულე ძლაბ ოჭოფეს, ქუმუო-  
ნეს დო ქიდებად ბალანაქ არაჩვეულებრივ, გვერდ ოქრო დო  
გვერდ ვარჩხილქენ ფერი დო ახიოლ თე ოსურსუ, შურ ქუ-  
ნოდგენია ხოლოვა დო ღორონთქია ქომჩუა შურიშძიებაშ სა-  
შუალება. ათექ ახიოლ ასე, ქაშუოლგნ, ქიმერთუ დო დოჭარუ  
თექ, გელელუ თენა ამსერ, თე ნაჭარა, თე კოს ალუძუნ თენა  
ოდო დოჭარ: „თინა ვაბალგდუაო სკან ოსურ ხეკულე დუე,  
თოლი უხუ ლაკვიქ ქიდებადუა, ჯოლორიშ ჯიშიქია ოდო მუ-  
ჭო ფქიმინათი ქუმომგჩინია.“ ქალუდუ თენა დო ე კოჩქ ოჭუ-  
მარეს გედირთგნი, პურ-მარილ გუნწყუ ხოლო ე ოსურქ, ჩქიმ  
პატენ სი რექინ, დო მეფურინგნს ე კოჩი, ინა, ბოი, მერსუ,  
ოქროჯვუა ინა [ამბე] მეუღლუ დო. ოდო მუდგარენი დროეფიშ  
ინასგ [უკული], ქიმიოჭირინუ თექ თე ბოშიშა დო ქიმერთ; და-  
კინუ თენა, ჩქიმ პატონ სი რექინ, დო ქიმიახვამ დო ქიმეჩე  
დო ბოშის ჩილამურქ გელუოლ, ბოი, ქიგარც. გებორგ ე კოჩქ,  
ბოი, მუ ოგარ ჯიმალურელი, მუი რენია დო ინა, მარა ვაგა-  
ბედ ასე მუთუნია რაგადი. თეს ასე ეწყინ, ვაკოდუა სკუავა  
დო ინა დო... ქიმერთ დო დოჭარ ბოშიქ წერილი: „მუაჩქიმია,  
ჯოლორიშ [ჯიშის] მოგენსინ ფერ ვარ, ჭერჭე გვერ ქორდა-  
სიე, ჩქიმ მულაშა ხე ვემეთხათია.“ ქიმეჩი თეს დო მოლართ ე  
კოჩქ. ათაქ ქიგასერ კინ აშონას. გელულ თე ოსურქ, ხოლო  
ქომონჯ ვარე, გელულ თექ ნაჭარა ამსერ დო დოჭარგ: „გვერ-  
დი ოქრო დო გვერდ ვარჩხილ ვარი, ართო ოქრო ქორდასიე,  
კულახუნეთია ხუს, ქომაბუნეთია ორძოლი დო გოუტეთია“.  
ქემილეს თე წერილი, ჩქიმ პატენ სი რექენ, დო მუმაქ,  
დიდაქ გეგნინწერგ, მოახლეემქ, ირკოს ოწყინ, მარა მუ ქი-  
მინან, ბოშიშ ბრძანება რე დო თე ბალანა ქგლახუნეს ხუცუ  
დო წოხოლე ქიგიობუნეეს ჩახვია დო გოუტეეს. მეურს, მარა  
შკირენს, მარა მუ ქიმინას ასე შკირენსგ დო ბალანა ვადა-

ფილა ეს. დასხდნენ ახლა. ვახშამი გამოუტანა, შენ რომ ხარ ჩემი  
ბატონი, და დაიწყეს საუბარი, თუ სადაური ხარ, ვინ ხარ, რა ხარ,  
უთხრა ამან [მოახლეო] ასე, ასე, ასე მოხდაო და ეს ყველაფერი  
უამბო, ეს და ეს ბიჭი სწავლობდა, დაინვალიდდა, ლოგინად ჩა-  
ვარდა, უხელო გოგო დაიჭირეს, მიოუყვანეს და დაიბადა ბავშვი  
არაჩვეულებრივი, ნახევარი ოქრო და ნახევარი ვერცხლი რომ  
[არის] ისეთი და გაუხრადა ამ ქალს (=ამ კაცის ცოლს), ცოცხალი  
ყოფილაო კიდევ და ღმერთმა მომცაო შურძიების საშუალება. ეს  
გაუხარდა ამას ხელში რომ ჩაუვარდა. მივიდა და დაწერა ამან  
(=ქალმა), ამალამ ამოულო ეს ნაწერი ამ კაცს რომ უდევს ის  
[წერილი] და დაწერა: „ის არ იყო საკმარისი შენი ცოლი უხელო  
რომ იყოო, თვალაუხელელი (=პრმა) ლეკვი დაიბადაო, ძალლის  
ჯიშისო, ჰოდა, როგორ გავაკეთოთ, შემომითვალეო.“ ჩაუდო ეს  
(=წერილი) და ეს კაცი დილით რომ ადგა, პურმარილი გაუწყო  
ისევ ამ ქალმა, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი, და მიფრინავს ეს კა-  
ცი, კაცო, მიდის, ოქროსავით [ამბავი] მიაქს და. ჰოდა, რალაცა  
დღროის [შემდეგ] მიაღწია ამან იმ ბიჭამდე და მივიდა. გადასცა  
ეს, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი, (+და) მიულოცა და მისცა და ბიჭს  
თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა, კაცო, ტირის. გასულელდა  
ეს კაცი, კაცო, რა ატირებს, ეს ძმამკვდარი (=ოხერი), რა არისო,  
მაგრამ ვერ გაბედა (+ახლა) ვერაფრის თქმა. ამას (+ახლა) ეწყინა,  
[ალბათ] არ უნდოდაო შვილიო და ისა და... მივიდა და დაწერა  
ამ ბიჭმა წერილი: „მამაჩემოო, ძალლის [ჯიშს] რომ ჩამოჰგავს  
ისეთი კი არა, ჭრელი გველიც რომ იყოს, ჩემს მოსვლამდე ხელი  
არ ახლოთო.“ მისცა ამას ხელში [ეს წერილი] და წამოვიდა ეს  
კაცი. აქ (=ამ ადგილას) შემოაღამდა ისევ აქეთობისას. ამოულო  
ამ ქალმა, ქმარი ისევ არ არის, ამოულო ეს ნაწერი ამალამ და და-  
წერა: „ნახევარი ოქრო და ნახევარი ვერცხლი კი არა, მთლიანად  
ოქრო რომ იყოსო, შეუსვითო ზურგზე [ქალს ბავშვი], აჰეთოთო  
საგზალი და გაუშვითო.“

მიიღეს ეს წერილი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მამა, დედა  
დამწუხერდა, მოახლეებს, ყველას სწყინს, მაგრამ რა ქნან, ბიჭის

- ხუნე, ქუდახუნუას, ვაკლახუნე, ენა ვეშალინე ოდო მეურსუ  
დო ქუმაცუმენ წყარქ, თიშ მანნარათ ქუმაცუმენ წყარქ, ა  
ოჭკომალ[ს] შურო ვაჭკომუნს, წყარ ქოჩე; მეურს, მეურსუ  
დო ქოძირ მდინარე მეურს დიდი, წყარ მეურსი ოდო ახიოლ,  
5. ქიმერთ თაქი დო მიშელ წყარშა, ადო იკინანსენ თეში დო ინა  
[ჰა-ჰა, გითიანჭუ წყარს], მარა დიკინასინ, ბალანა ქუდუოლ  
დო წყარშა მიშელ თექ, წყარ ვაცაფე ნიჩვი გიანჭუნ თიზმა  
თექ; თეიშა ქათადირთას წყარქ, ნამდა პიჯქ ქიგიანჭასუ,  
თეზმა ვაცაფე თე წყარ. ვარ მუ ქიმინას, ღორონდგიე, დო  
10. დიკინ თექ, ა, ქიდიცუცუ დო თაქი ინა დო დიკინ დო ასე  
შუნსუ წყარს, შუნსუ დო იშო გააჭყორდ თეს [ბალანაქ], თე  
წყარი თიზუმა ინა [მიმზიდველი] რე, დეხარბუ ინა დო ბალა-  
ნაქ იშ ქინუოლ წყარშა. ქინოლ ბალანაქ წყარს, ჩქიმ პატენ  
სი რექინ, დო გამათხოზ თეს ოდო ითომუ დო წუმუპუტონუ  
15. ხე დო უირხოლო ხექ ქიმიარდ იშო, ხეთ გინირთგ (=გეთელუ)  
დო ოჭოფუ, გეშეცონ, ეშელ, დირძლგ ოჭკომალით, ჩქიმ პა-  
ტონ სი რექინ, დო ე სკანი თავადი დო ინა კუჩხიშა ქიგლე-  
ბუნუ. ბალანა ცუნს ოქროჯგუა, მუს ხელეფ უირხოლო [ულუ]  
დო მეურცუ.
20. ქუმორთ მუა ცუჩა. მინაჯინგ ცუდესენ, ქედიძახ იშო. ისერუ.  
აქ ცუდე რე მუში დო ქედიძახუნი, გინარჩქილ თე ოსურქ, ქო-  
მონჯ[ქ] ამსერ მორთას ოკო. გინარჩქილ თე ოსურქუ დო ათა-  
ში ქინაჯინუნი, გებორგ, ბოში. ა მუშ ოხორასკილი, ა, ბალანა  
გადასარევი, მარა ხე ულუ უირხოლო. ათექ აბორჯ ასე, თე ხექ,  
25. ვარა ოხორასკილ მუში [რე] ოდო მოზოჯია დო გამნიცონ. ელა-  
ხენა, იჩიებუნა ეთეშ ქომორთ ქომონჯქ. ქუმორთ ქომონჯქინ,  
ვეჩინუო ე ჯიმა[ქ], ბალანა დუო, ძლაბი'დ გოთქვიშინაფილ.  
ჯიმას გეუოლ გარაქ დო გალე გიმილ იშო. მუშ და ელახე ამარ  
დო ხე ულუ, მარა და რე მუშ სინამდულეს დო დეკმაყოფილ  
30. თე გარათ, დირძლუ დო მუნილ, ქუდოდოხოდეს დო ოსერშოს  
ხენა, ჩქიმ პატონ სი რექინ, დო ეი, მენძელია, ქიდგძახ მიდგა-  
ქირენ დო გინარჩქილ თე კოჩქ. ქიგმოსერაფეთია ამსერ დო

ბრძანებაა და ეს ბავშვი შეუსვეს მხარზე, ნინ ჩამოჰკიდეს პატარა ტომარა და გაუშვეს. მიდის, მაგრამ შია, მაგრამ რა ქნას ახლა რომ შია და ბავშვს ვერ ჩამოსვამს, რომ ჩამოსვას, ვერ ასვამს ზე-ვით. ამას [ცურს] ვერ ამოიღებს, ჰოდა, მიდის. და მოწყურდა წყალი, ისე მწარედ მოწყურდა წყალი, საჭმელს საერთოდ არ შეჭამს, წყალი რომ დაალევინო. მიდის, მიდის და ნახა მდინარე მიდის (=მიედინება) დიდი, წყალი მიდის, ჰოდა, გაუხარდა, მივიდა აქ და შევიდა წყალში. ჰოდა, რომ იხრება ის [ჴა და ჴა თითქმის წვდება წყალს], მაგრამ რომ დაიხაროს, ბავშვი დაუვარდება და წყალში შევიდა იქ, წყალი არ ყოფილა, პირი რომ დასწვდება იმდენი იქ; იქამდე რომ მოადგეს წყალი, რომ პირი დასწვდეს [დაუხელელად], ამხელა არ ყოფილა წყალი. რა ქნას, ღმერთმანი, და დაიხარა ეს, აი, ჩაიკუზა და დაიხარა და (+ახლა) სვამს წყალს, სვამს და (+იქით) დაავიწყდა ამას [ბავშვი], ეს წყალი იმდენად ის [მიმზიდველი] არის, ამ წყალს დახარბდა და ბავშვი (+იქით) ჩაუვარდა წყალში. ჩავარდა ბავშვი წყალში, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი, და გამოეკიდა ამას, ჰოდა, ვითომდა ხელით წაეპოტინა და ორივე ხელი გამთელდა. ხელად იქცა [მოჭრილი ნაწილი] და დაიჭირა, ამოიყვანა [ბავშვი], ამოვიდა, გაძლა საჭმლით, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი, და ეს შენი თვადი და ის [ქმარი] ფეხზე დაიკიდა. ბავშვი ჰყავს ოქროსავით, მას ორივე ხელი [აქვს] და მიდის.

მოვიდა თავის სახლში. რომ შეიხედა სახლში, დაიძახა (+იქეთ). ღამდება. აქ სახლია მისი და, რომ დაიძახა, გამოხედა ამ ქალმა, ქმარი ამაღამ მოვიდეს უნდა. გამოხედა ამ ქალმა და ასე რომ შეხედა, გასულელდა, კაცო, აი, თავისი მული, აი, ბავშვი გადასარევი, მაგამ ხელი აქვს ორივე. ამან დააბნია ახლა, ამ ხელმა, თორემ მული მისი; ჰოდა, მოპრძანდიო და შეიყვანა. სხედან, საუბრობენ ისე, მოვიდა ქმარი. რომ მოვიდა ქმარი, არ იცნო ამ ძმამ?! ბავშვი იყო?! გოგო იყო დაქალებული. ძმას აუტყდა ტირილი (=ატირდა) და გარეთ გავიდა (+იქეთ). თავისი და ზის აგერ და ხელი აქს, მაგრამ და არის თავისი სინამდვილეში და დაკმაყოფილდა ტირილით, გაძლა. შევიდა, დასხდნენ

5.

10.

15.

20.

25.

30.

## მოზოჯ პატონი დო...

- ცხენ ქინკავირესგ დო თე ბოშიქ მინილ თე იშ წოხოლე, თე ხაზენიში დო ა, მუშ ოსურ ქელახე, ბოი, ამარი, ა, ბა-ლანა ამარ ქელახე, გვერდი ოქრო დო გვერდი ვარჩხილი, ა,
5. უჯგუშ ვეი ბალანან ფერი დო ა, ხე უღე ჟირხოლო. ათენა [რე გასაკვირი], მუჭო ნოგურაფუენია კოჩ კოსია, დირაგა-დუ ასე თე ბოშიქ. ექ ქიჩინუ, მუშ ქომონჯიენ დო ვეჩინუ ასე ე ოსურქ, მარა ვეჩიებუ მუთუნს. მუშენია, პატონია, უნუ თე ჯიმაქ ასე, თე ოჯახიშ კოჩქ. ოსურ პუნდუა ცუდესია, უნუ, ოსურ პუნცია ცუდეს ოდო ქეჩიუ ასე თექ მუჭო რე, მუ ვარ, ირფელ ქეჩიუ თეს ოდო ხე ვაულუნია ჟირხოლოვა დო მუაჩქიმქ ქომოპჭარუა, ბალანა დაბადებენია ათეჯგუავა დო ათაშიენია მოხვალამირია დო თექ მეურქია დო ათექია ამა-ბორჯუა, გვალო ჩქიმ ოსურიენია ცვალ გოკვათე, ართიანს მეუდე თიჯგუავა; ხოვა, სი ვარ მა ხოლო ებობრჯია, თე ბოშქ უნუ დო ექ მუში ამბე ქეჩიუ თაქ: და ცუნდუ, ათაშ ორ-თუდუ, თაშ ორთუდუ, უკულ ჟირხოლო ხე მეკვათუ ბოლოსი დო ტყას გაჩემუ ურემი დო ქეჩიუ თექ დო ურჩქილ, ურჩქილ თე ბოშიქ ეჩიებუნ თესგ დო თინა ვარდასია თენავა, თე სკანი და ვარდასია, ტყას რენია ნაჭოფავა ჩქიმი ოსურია დო მოლა-ვა ოჭუმარეს მიდმაცუნია დო ქობძირათია. მავა ათაში დიდი განთქმული კოჩიშ სკუა ვორექია დო გინოჭყვიდეს ასე ულა, ოჭუმარეს ქაცუნას ოკო თე კოჩქ, თე ჯიმაქ ასე თი ჟანს თეშ, თე ოსურქ გედირთგ დო თქვავა სოთინ ვაგაფუნანია ოლუა, უნუ, მა ვორექია თი სი ჩქიმ და რენიე იჩიებუქიე თინა დო მა ვორექია ჩქიმ ოსურიენიე, იჩიებუქია, თინა დო ქეჩიუ თექ მუჭო მოხვადგ, მუჭო ალოლ, ასე თე გაჭირება ქეჩიუ ირფელ დო ათაქია მუთ მოთმოხვადუდუე, თესია ათე სკანი ოსუ-რი ორთგდუა, მარა თქვავა აკოცენდითია დო ათე ბალანაშ ცოროფად გურშენ ვევჩიებუდია მა თესია, უნუ.
- გემილ თე კოჩქ, ჭიე ხანქ მუკილ დო ქიძახ, ქუდ[გ]ძახ ოსურს, ქიმიორკიუ ოსურქ, გაგმოლ თე ბოშიქ ხოლო, მა-

და ვახშმად სხედან, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი, და [ამ დროს] ჰერი, მასპინძელოო, დაიძახა ვიღაცამ. გამოხედა ამ კაცმა. ღამე გამათევინეთო ამაღამ, უთხრა, და მოპრძანდი ბატონი და...

ცხენი მიაბეს და ეს ბიჭი შევიდა ამაზე წინ, ამ ოჯახის უფროსზე და აი, თავისი ცოლი აგერ ზის, კაცო, აი, ბავშვი აგერ ზის, ნახევარი ოქრო და ნახევარი ვერცხლი. აი, უკეთესი რომ არ იქნება ბავშვი ისეთი და აი, ხელი აქვს ორივე [ამ ქალს]. როგორ ემსგავსებაო კაცი კაცს, ჩაილაპარაკა ახლა ამ ბიჭმა. ამან იცნო, თავისი ქმარია და არ იცნო ახლა ამ ქალმა, მაგრამ არ ამბობს არაფერს. რატომო, ბატონოო, უთხრა ამ ძმამ ახლა, ამ სახლის კაცმა. ცოლი მყავდაო სახლში, უთხრა, ცოლი მყავსო სახლში, ჰოდა, მოჰყვა ახლა ამან, როგორ არის, როგორ არა, ყველაფერი უამბო ამას; ჰოდა, ხელი არ აქვსო ორივე და მამაჩემმა მომწერაო, ბავშვიო, ბავშვი დაბადებულაო ასეთიო და ასე მომხდარაო და იქ მიყვდივარ და ამან მთლად ამრიაო, მთლად ჩემი ცოლია ყველი რომ გაჭრა და ერთმანეთს დაატოლოო იმგვარადო (=გაჭრილი ვაშლივით ჰეგავს). დიახო, შენ კი არა, მეც ავირიეო, ამ ბიჭმა უთხრა და ამან თავისი ამბავი უამბო (+აქ): და ჰყავდა, ასე ექცეოდა, მერე ორივე ხელი მოაჭრა ბოლოს და ტყეში რომ გააჩერა (=დატოვა) ურემი, და მოჰყვა ეს. (+და) უსმინა, უსმინა ამ ბიჭმა რომ ესაუბრება ამას (=ამბავს) და ის არ იყოსო ეს, ეს შენი და არ იყოსო, ტყეშია დაჭერილი ჩემი ცოლი და წამოდი, დილას წამომყევი და ვნახოთო. მეო განთქმული კაცის შვილი ვარო და გადაწყვიტეს (+ახლა) წასვლა, დილით უნდა გაჰყვეს ეს კაცი, ეს ძმა, იმ დროს ეს ქალი (=და) ადგა და თქვენ არსად არ ხართ წასასვლელიო, უთხრა. მე ვარო ის, შენ რომ ამბობ ჩემი და არისო და მე ვარო ის, ჩემი ცოლია რომ ამბობო და უამბო ამან როგორ მოხდა, როგორ დაემართა, (+ახლა) ეს გაჭირვება მოუყვა ყველაფერი და აქო რაც ხდებოდაო, ამას ყველაფერს ეს შენი ცოლი აკეთებდაო, მაგრამ თქვენ გაიყრებოდითო და ამ ბავშვის სიყვარულით არ ვამბობდიო, უთხრა.

5.

10.

15.

20.

25.

30.

რა ხამ გელენწყვეტილობის, უწუ ოდო ქეკუსკუ ცხენც თომათ თე ოსური, გეიონწყვეტილობის დო ქაცათუ ცხენქ, ინა ცხენქ მუი რე ეკმობუნია დო გეერიუ ცხენქ დო დუდი ეკაკვენელუდგნ თიშ მეტი ქეკისოფ იშო.

5. აქ ართ მარას [ი]ქეიფეს, ჭკომეს, შვეს დო მიდართეს თექ. ი კოჩქ გვალო გეგნილასგ დო ართო მუშ გუბერნია ქუდაპატიუუ ოდო იცუ ქეიფიქ დო ათე ბაღანაქ მირდგ, ჩქიმ პატონ სი რექნ, დო ართი-ართი მეფეში კარიშკაცო გინირთგ თიქ. თიშ მამან-გარა ნიჭიერ ბაღანაქ იცუ დო კარისკაცი'დ მეფეშინ ფერქ დო ცხოვრენდგ ი ჩილ დო ქომონჯი დო დოლურუდეს ალბეთ, აბა მუ იციდუ, დირჩინუდუ.
10. [თენა] ნამდვილ ამბავიენია, თქუანდ ჩქიმ ბები ჩხონაფილი.

ინფორმატორი ნოდარ ბერია, 75 წლის  
ს.კურზუ, მარტვილის რაიონი  
2008 წლის სექტემბერი

გამოვიდა ეს კაცი, ცოტა ხანი გავიდა და იძახის, დაუძახა ცოლს; დაიკივლა ცოლმა. გამოვარდა ეს ბიჭიც (=სტუმარი), მაგრამ დანა ამოიღო [მასპინძელმა], არ მოხვიდე, თორებ მოგკლავო, უთხრა ჰოდა, მიაბა ცხენს თმით ეს ქალი, ახსნა ეს ლაგამი და გაათრია ცხენმა, რა არისო ცხენმა რომ აკიდებული მაქვსო და დაფეთდა ცხენი, [ქალის] თავი რომ ეკიდა იმის მეტი ყველაფერი დაფლითა (+იქეთ).

აქ ერთი კვირა იქეიფეს, ჭამეს, სვეს და წავიდნენ იქ (=ბიჭის სახლში). ის კაცი (=ბიჭის მამა) მოლად გაგიუდა და მთელი თავისი გუბერნია დაპატიჟა, ჰოდა შეიქნა ქეიფი და ეს ბავშვი გაიზარდა, შენ რომ ხარ ჩემი ბატონი, და ერთ-ერთი მეფის კარისკაცი გახდა. ისეთი მაგარი ნიჭიერი ბავშვი იყო და კარისკაცი იყო მეფის და ცხოვრობდა ის ცოლი და ქმარი და მოკვდა ეს (=მამა), აბა, რა იქნებოდა, დაპერდა და.

ეს წამდვილია ამბავიაო, იტყოდა ბებიაჩემი, ცხონებული.

5.

10.

## მუქით გამაშინუ...

ვითოვირი წანებ ვორდი, გლანდეფიშ ოპერაცია გამიკეთუ ექიმ ნოვე ქაჯაიაქ, ოდო გვაე ჯგირო ჩეტარინუ თე ოპერაციაქ დო მშვენიერ ჯგირო გესქიდი დო თიშ უკუი ქოვორექ.

– სო გიკეთუ ოპერაცია?

5. – თაქ, სოფერს, მუშ ცუდეშა’ დ მუირი ქართიშე დო გამიკეთ მუშ ცუდეს.

– ექრთანი მინი დუ?

6. – ექრთანი მითინი ვაცუნდუ ის, თვითონი ინანდუ [აკეთენდუ] დო ოხვარუდუ თექ ნოსა დო ჩქიმიანეფი გაე მიჯინედეს, მიანაე ვემიაშესუ.

– ოპერაცია გიკეთუ, მუ გიწულუ მინჯეს?

7. – ვარ, მუთუნი ვარი შურო. კაპეიკი ვაუგაფუაფ, ართი მანათი ვენწულაოუ.

– დო ვართი მუთუნი სოფეიშ ნაწარმიო?

8. – ვარ, ვარ, ვარ, მუთუნ ვეაწულაოუ. თინა მუდგადუ სოფერს ცუდე მშენებლობას იჭყანდუ დო ეთიმწკია უწუ ჩქიმ მუმას, ნამ-და ქიმოხვარია ართი დღასი ხვაე, მეტი მუთუნ ვამოკონია სკა-ნია, უწუ. მეტი მუთუნი ვეიწულაოუ შურო.

– ქიმეხვარუ?

9. – ქო, ქო.

– გეიაშენესო ცუდე?

10. – ქო, ცუდე გეაშენეს ჯიმაემქ, საჯიმაო ცუდე გეაშენესი დო თექ ოხვარუდუ ჯიმაემს.

– ჩქიმი მუმაქ უწუუ, თი საჯიმაო ცუდეს აშენენდესი თიმწკია,

11. ქოვა, მავა ართი დღას ვარია, ართი მარა ორდასი, მეგოხვარე-ბუქია, მარა უირხოო ჯიმაემს ქორთხინთია თისია, ნამდავა სა-შეე ცუდეს ნუ გაკეთენთია. ენა თქვა ქო, ჯიმაეფი, ჯგიროეთია ართიმაჟიანკიავა დო ძაამ ჯგირო უხუჯანთია, მარავა თქვანი ოსურეფი ქიმიხუჯანსიაო, თქვანი სქუაეფი ქიმიხუჯანსიაო? ათენეფი ქიცინანიაო ჯგირო, ათენა ოკო გეთვალისწინათ ოკო-

## რაც გამახსენდა...

თორმეტი წლის ვიყავი, გლანდების ოპერაცია გამიკეთა ექიმ-მა – ნოე ქაჯაიამ და ძალიან კარგად ჩატარდა ეს ოპერაცია და მშვენივრად გადავრჩი და იმის მერე კი ვარ.

– სად გაგიკეთა ოპერაცია?

– აქ, სოფელში, თავის სახლში იყო მოსული აქ თბილისიდან და თავის სახლში გამიკეთა.

– ექთანი ვინ იყო?

– ექთანი არავინ არ ჰყავდა იმას, თვითონ იმას შვრებოდა [აკეთებდა] და ეხმარებოდა იქ რძალი და ჩემები გარეთ მელოდე-ბოდნენ, შიგნით არ შეუშვა.

– ოპერაცია რომ გაგიკეთა, რა გამოართვა პატრონს?

– საერთოდ არაფერი. ერთი მანეთი არ გადაუხდევინებია, ერ-თი მანეთი არ გამოურთმევია.

– და არც რაიმე სოფლის ნაწარმი?

– არა, არა, არა, არაფელი გამოურთმევია. ის რაღაც სოფლის მშენებლობას იწყებდა და მაშინ უთხრა მამაჩემს ერთი დღე მო-მეხმარეო, მეტი არაფელი არ მინდა შენიო, უთხრა.

– მოეხმარა?

– კი, კი.

– ააშენეს სახლი?

– კი, სახლი ააშენეს ძმებმა, საძმო სახლი ააშენეს და იქ ეხ-მარებოდა ძმებს.

მამაჩემმა უთხრა, იმ საძმო სახლს რომ აშენებდნენ მაშინ, კიო, მე ერთი დღე არა, ერთი კვირა იყოს მოგეხმარებიო, მაგრამ ორივე ძმებს გთხოვთო იმას, რომ საზიაროდ ნუ გააკეთებთო. თქვენ კიო, ძმები, კარგად ხართ ერთმანეთთან და ძან ეწყო-ბითო, მაგრამ თქვენი ცოლები შეეწყობიანო, თქვენი შვილები შეეწყობიანო? ხო, ესენი იქნებიანო კარგად, ეს უნდა გაითვალის-წინოთ. არ გაითვალისწინეს ეს, გააკეთეს და შედეგიც ... ძალიან ცუდად დამთავრდა. სულ ჩხუბობს ახლები.

5.

10.

15.

20.

25.

30.

ნია. ვეგეთვალისწინეს თენა, გააკეთეს დო შედეგი ხომ .... ძამ ცუდას დემთავრინუ. ირიათო ჩხუბენს ახავეფი.

– ჯვეშეფი ვაჩხუბენდურ?

– ჯვეშეფი ხომ ჩხუბენდეს: ი ნოსაეფი, მუ რაგადი ოკო, ი

5. ჯიმაემქ დოლურუ ართიქითი, მაჟიაქითი, თი ჩქიმ ექიმი დუ, თიქ დოლურუ, თია ჯიმაქ ხომ, კოლია ჯოხოდ სახეი თქ, დოლურუ, უკუი ოსურემქ ქიდოსქიდესი, თი ოსურეფი ჩხუბენდესი, უკუი თი კოლიაშ ოსურქ დოლურუ, ნოვეში ოსურქ ქოდოსქიდუ ოდო ასე თი კოლიაშ ბოში დო თიშ ოსური დო თინეფი ჩხუბენდეს დო შედეგი ორე გლახა. ჩხუბის მოცუნს თინა, ნამდა შენირუ თი ბო-შიქ თე ჩხუბის დუდი, კოლია ქაჯეიაშ ბოშიქ.
10. – ჯიმაეფი ხომ ჩხუბენდესო?

– ჯიმაეფი ვარი, ჯიმაეფი ვაჩხუბენდეს, ჯიმაეფი ქორდეს, სოიშახ ორდესი, ქორდეს დო ვართ ოსურემს არაგადედეს მუთუ-ნი, მარა აათე ჯიმაემქ დოლურუ უკუნეშე იუ თექი...

– ო, ენა ძამ გლახაე, ეჯგუა ჯიმაობა გლახაე.

– ენა თინა რაგადანს „ჩქიმიე“ დო თენა რაგადანს „ჩქიმიე“ დო... მეჩქე თექ თეშ ნამუე დო თიშ ნამუე; თეს ცალკე უღუ კარი, თის ცალკე უღუ კარი. თიშ ინა გორთიიე ცუდე, თეშ გორ-თიიე ცუდე, თის მუშოთ უღუ ბინა, თეს მუშოთ უღუ ბინა, ქარ-თის ხომ ბინეფი უღუნა დო მუ მიჩქე, მუ აჩხუბენდესი, ჩხუბენ-დესი დო ვენტირენა ქიანას.

\* \* \*

25. ასე, ჩქინ ჭაეს, ჩქი დიდ ჭაე მიღუნა, სოფერს ოდო თექ, შქა არდგირს ბუნეპრივი წყარიე გიშუირი, ნამუსითი უძახუნა კორ-ზეში წყაროს. თის ირ წანას იშმანიმიდანს გლეხეფი, ეთექ არძა მეურს დო ორე ძაამ რგიიშე რგიი წყარი, გადასარევ მუთუნიე თი წყარი, არძა სარგებლებს თითი. კორზეშ წყარი ჯოხო თის, მარ-გაღურო უძახუნა კორზეში წყარს.
30. გადასარევ მუთუნიე კორზეში წყარს.

ინფორმატორი ვენერა ქაჯანა, 77 წლის

ს. ონილია, მარტვილის რ-ნი

2008 წლის აგვისტო

- ძველები არ ჩხუბობდა?
- ძველებიც ჩხუბობდნენ: ის რძლები, რა თქმა უნდა, იმ ძმებიდან ერთი გარდაიცვალა, მეორეც, ჩემი ექიმი რომ იყო ის გარდაიცვალა, იმისი ძმაც, კოლია ერქვა სახელი ის, გარდაიცვალა, მერე ქალები დარჩნენ, ის ქალები ჩხუბობდნენ, მერე იმ კოლიას ცოლი გარდაიცვალა, ნოვეს ცოლი დარჩა და ახლა იმ კოლიას ბიჭი და იმის ცოლი და ისინი ჩხუბობდნენ და შედეგი არის ცუდი. ჩხუბს მოჰყვება ის, რომ იმ ბიჭმა შეწირა ამ ჩხუბს თავი, კოლია ქაფაიას ბიჭმა.
- ძმებიც ჩხუბობდნენ?
- ძმები არა, ძმები არ ჩხუბობდნენ, ძმები იყვნენ, სანამდეც იყვნენ, იყვნენ და არც ქალებს ეთქმოდათ რამე, მაგრამ აი ეს ძმები რომ გარდაიცვალა, მერე შეიქმნა იქ...
- ო, ეს ძალიან ცუდი, ასეთი ძმობა ცუდია.
- ეს ის ლაპარაკობს „ჩემია“ და ეს ლაპარაკობს „ჩემია“ დო ... ჩანს იქ ამის რომელია და იმის რომელი, ამას ცალკე აქვს კარი, იმას ცალკე აქვს კარი. იმის ის გაყოფილია სახლი, ამის გაყოფილია სახლი, იმას თავისითვის აქვს ბინა, ამას თავისითვის აქვს ბინა, თბილისშიც ბინეფი აქვთ და რა ვიცი, რა აჩხუბებდათ. ჩხუბობდნენ და ქვეყანაზე არ ეტევიან.

\* \* \*

ახლა, ჩვენს ჭალაში, ჩვენ დიდი ჭალა გვაქვს, სოფელში და იქ, შუა ადგილას ბუნებრივი წყალი ამოდის, რომელსაც ეძახიან კორზეს წყაროს. იმას ყოველ წელს წმინდს გლეხები, იქ ყველა მიდის და არის ძალიან ცივზე ცივი წყალი, გადასარევი რამეა ის წყალი, ყველა სარგებლობს იმით. კორზეს წყალი ჰქვია იმას, მეგრულად ეძახიან „კორზეში წყარს“.

5.

10.

15.

20.

25.

## ჭვიიშ წამაი

ჭვიიშ წამაი იკეთებუ ათაში: ჭიჭე ქორეკო კეთებადა, ოში გრა-  
მი თოფურ-სანთეი, ოში გრამი ლევიშ ამნალები უჯიმოი, ხოდო,  
გვერდი ჭიქა ზეთი. ცათენეფი ართო ქიგიოცოთეოკო, ნუ, სოდე  
გოკონ თექ, ასე სკოროდას გოკონ თენა თუ მუსიე დო თექ გინ-

5. დღვიუაფ თინა, ხოდო, მააფუნუანქ თის, გეგნოდგუნქ, ქოდოდ-  
გუნქ, მორგიდუ თინა, ჭიჭე მორგიაფი იუინ ფერ პერიოდის,  
მითმორგიდუდასი ფერ პერიოდის გეეჭოფუნქ ის, მუ ჯოხო, ჭიქა  
იცინო ჭიქ, შუშა იცინო ჭიჭე, დინინტირე თიფერს, ქიდნაბუნქ.  
თინა იცი ირიათო. ჭვიიშ წამარს ჟირ-სუმ დღაშ მეტი ვაკო, გააქ-  
რენს თის, გოხვარხვადანს. ცათენა რე ჭვიიშ წამაი.
  - თენა მიქ დოგოგურუ?
  - ყანა მა დომოგურუ ჩქიმ დიდაქი, ოდო მიჩქ თაშ.
  - ბრეი გაფუნო სკიდერი?
  - ქო, ძამ ბირეი. გვაე მანგარ ჭვირი'დ მეზობეიშ ბალანა, კი-  
15. სერიშახ, თეი კუჩხი, ინა, მუჯოხო, ათე კისერ, წოხოენ კიდირი,  
კიე, იფრეი ჭვირი აფუდუ დო თის მა უნამაანდი თითქმის ეჩი  
დღას. მუშენდა, მანგარი ჭვირი'დ; ის წყარქ ქუდნუდირთ უკუ-  
ნეშე, თის ხვადე ოშ გრამი დო ინა ვაუბალუდუ დო ინა ბრეი მო-  
მილ მუშ მინჯეე სანთეი დო თიშ მიხედვითი ახაი-ახაი წამაემს  
20. უკეთენდი; თუმცა ის გააკეთენქ დო ქუდოდვანქი, ინა ჟიროში  
წანას ორდასი... მა მილ ინა კეთებუ, ემერი გოძირანქ ის მუნე-  
რიე; თინა ჟიროში წანას ქორდასი, ვანურს, თექ. ვართ მაცივა-  
რი ოკო ის დო ვართ მუთუნი. მაცივარი ქოილუდა, მითოდვანქ,  
მარა მაცივარი ვაილუდა, თეშ ხოთ ირგუ.
  - 25. - მინ დო მინ ოსქიიდე?
    - გოგუცაშ და ვოსქიიდე. უკუი ხოთ, ემერი მანანაში ნინო  
ვოსქიიდე, ნატოშ ქომოვგი ვოსქიიდე ალიმი; ო, თი ოჯახი ხოთ,  
თექ თიშ ძლაბი ვოსქიიდე დო მის უჩქუ, ბრეი ხოთ, ძამ ბრეი,  
ასე სო გამაშინუ თისხეი, ძამ ბრეი მაფუ სქიიდაფირი.

ინფორმატორი ვენერა ქაჯაია, 77 წლის  
ს. ონილია, მარტვილის რ-ნი  
2008 წლის აგვისტო

## დამწვრობის ნამალი

დამწვრობის ნამალი კეთდება ასე: ცოტა თუ გინდა გააკე-  
თო, ასი გრამი თაფლის სანთელი, ასი გარმი ღორის უმარილო  
გადამდნარი ქონი, ჰოდა, ნახევარი ჭიქა ზეთი. ესენი ერთად უნ-  
და დაყარო (=მოათავსო), ნუ, სად[აც] გინდა იქ (=იმაზე), ახლა,  
ტაფაზე გინდა ეს თუ რაზეც და იქ დადნება ის[ინი], ჰოდა,  
ოდნავ წამოადუღებ, გადადგამ, დადგამ, ოდნავ გაცივდება ის;  
ცოტა შეციებული რომ იქნება ისეთ დროს, რომ მოცივდება ისეთ  
დროს აიღებ იმას, (+რა ჰქვია), ჭიქა იქნება პატარა, შუბა იქნება  
პატარა, რომ ჩაეტიოს ისეთს, ჩაასხამ. ის სულ იქნება (=არ გა-  
ფუჭდება). დამწვრობის წამალს ორი-სამი დღის მეტი არ უნდა,  
გააქრობს იმას (=დამწვრობას). ეს არის დამწვრობის წამალი.

5.

10.

15.

20.

25.

– ეს ვინ გასწავლა?  
– ეს მე დედაჩემმა მასწავლა და ასე ვიცი.  
– ბევრი გყავს მორჩენილი?  
– კი, ძალიან ბევრი. ძალიან მაგარი (=ძლიერ) დამწვარი იყო  
მეზობლის ბავშვი, კისრამდე, მთელი ფეხი (+ ისა, რა ჰქვია), ეს  
კისერი, წინა მხარე – მკერდი, მკლავი, ყველაფერი დამწვარი  
ჰქონდა და იმას მე ვწამლობდი თითქმის ოცი დღე. რატომ-და,  
მაგარი (=ძლიერ) დამწვარი იყო. იმას წყალი ჩაუდგა მერე. იმას  
მარტო ასი გრამი (+და ის) არ ეყოფოდა და (+ის) ბევრი მომიტანა  
მისმა პატრონმა სანთელი და იმის მიხედვით ახალ-ახალ წამლებს  
ვუკეთებდი, თუმცა, იმას რომ გააკეთებ და დადებ, ის ორასი  
წელი რომ იყოს... მე მაქვს ის გაკეთებული, ეგერ გაჩვენებ, ის  
როგორია. ის, ორასი წელი რომ იყოს, არ გაფუჭდება (+იქ); არც  
მაცივარი უნდა იმას და არც არაფერი. მაცივარი თუ გაქვს, ჩა-  
დებ, მაგრამ, მაცივარი თუ არ გაქვს, ისედაც გაძლებს.

– ვინ და ვინ მოარჩინე?

– გოგუცას და მოვარჩინე. (+მერე კიდევ) ეგერ მანანას ნინო  
მოვარჩინე, ნატოს ქმარი მოვარჩინე ალიმი; ო, ის ოჯახი კიდევ,  
იქ იმის (=ნატოს) გოგო მოვარჩინე და, ვინ იცის, ბევრი, (+კიდევ)  
ძალიან ბევრი, ახლა სად გამახსენდება იმდენი, ძალიან ბევრი  
მყავს მორჩენილი.

30.

## ჩეინი ოძიცე ამბე

ომიანობაშ პერიოდიე, აბაშაშა ვიდათ ოკო, მოსავალიე იო-ჭოფალი. დამიბარეს აბაშაშე დიდა დო მუმაქ დო მთელ კურ-  
თხუ მურთი ასე დო თან გამაფრთხილეს, ორე ჯიბგირობა,

ორე ქურდობა, მთელ ამბეფი დო ჯვეშ ტანსამოსეფ ქიმკიქუ-

5. ნითია დო, მუ რაგადი ოკო, მუუ მიღუდეს ჯვეშ ირფელ ქინ-  
კივჭუნით, პალტო გოკონო, ჩექმეფ გოკონო. შემოდგომაშ პე-  
რიოდიე, ჭიჭე ჩხურუუ. მოლავრთით მატარებელით ჩქი, ოდო  
ქომოვრთით აბაშაშა მეზობელეფ, ინეფ არძო ართო ჩქინ კურ-  
თხუშ ხალხი [რე] დო მუ ვქიმინათ ასე, თან მოშვურუნა, მუ  
10. რაგად ოკო, მარა იშენით მურთი, სერით კუჩხით ქომოვრთით.  
მაჟია დღას ასე მოსავალს ვოხვარუთ, მუ რაგადი ოკო, ჩქინ  
დიდა დო მუმას, ვორეთ ართ ამბეს დო ჩქიმ დას დუღურუ  
დიანთილქ დო მიდავრთათ ოკო ოგარუშა, მარა მიკაქუნალ ვა-  
მიღუნა; მუ ვქიმინათ ასე, შხვა სოფელიშა მეურთ, მუ რაგად  
15. ოკო, სუჯუნა რე ათეჯგუა სოფელი, ოდო მიკაქუნალ ვამი-  
ღუნა. მეზობელეფინკუმა დივტრიალეთ არძოქ, რამოდენიმე  
კოჩქ ვიდათ ოკო, თეჯგუარ წესი რე ჩქინწკუმა, ცხენ დო კაჭ-  
კათ ვიდათ ოკო, ტრანსპორტ ვარე, მუთუნ ვარე დო მუაჩქიმს  
უუნდუ ართ [ცხენი], „ ხვიხვი“ ჯოხოდუ ცხენს.

20. ჩქიმ მამიდაშსკუაქ, მუ რაგადი ოკო, ქითუსკუ ასე თე ისი,  
კაჭკას, ცხენი დო გიმივდაცით არძოქ, ქიმკივჭუნით მიკაქუ-  
